



N 42, 2022

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
აზერბაიჯანმა საქართველოში გაზის ექსპორტი 57%-ით გაზარდა.....	2
დიდი ბრიტანეთი, 2023 წლიდან რუსეთისგან თხევად გაზს აღარ იყიდის.....	2
ელექტროენერგეტიკა.....	2
ავვისტოში საქართველოში ელ.ენერჯის წარმოება 16.5%-ით გაიზარდა.....	2
ლევან დავითაშვილი: ელექტროენერჯის მიწოდების კუთხით, ტრანზიტული ქვეყნების გავლის გარეშე, საქართველოს ევროკავშირთან პირდაპირ დაკავშირება სწორედ საქართველოს ინიციატივაა.....	3
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	3
გაზისა და ნავთობის ჩანაცვლება – ომანი წყალბადის ამბიციური გეგმის შესახებ აცხადებს.....	3
Eviation-ის სამგზავრო ელექტროთვითმფრინავმა პირველი სატესტო ფრენა შეასრულა	4
კლიმატის ცვლილება.....	5
ჰაერის დაბინძურების აღმოჩენა ცვლის მკვლევრების წარმოდგენას კიბოს ჩამოყალიბების შესახებ.....	5
UNESCO „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიებისთვის“ გრანტს გამოყოფს..	5
პუბლიკაციები.....	6
ღონისძიებები	6

ნავთობი და გაზი

აზერბაიჯანმა საქართველოში გაზის ექსპორტი 57%-ით გაზარდა

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის ექსპორტის მოცულობა 16%-ით გაიზარდა და 5,2 მილიარდი კუბ/მ შეადგინა.

როგორც SOCAR-ში აცხადებენ, საანგარიშო პერიოდში ქართულ ბაზარზე 174 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი გაიტანა.

აზერბაიჯანული მედია წერს, რომ მეზობელ ქვეყანაში (საქართველოში) ექსპორტირებული გაზის მოცულობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 56,8%-ით გაიზარდა.

წყარო: [commerciant.ge](https://cutt.ly/nNmRldp) - <https://cutt.ly/nNmRldp>

დიდი ბრიტანეთი, 2023 წლიდან რუსეთისგან თხევად გაზს აღარ იყიდის

დიდი ბრიტანეთი 2023 წლის პირველი იანვრიდან, რუსული თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) იმპორტს შეაჩერებს.

ამის შესახებ Twitter-ზე, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, თანამეგობრობის ოფისის განცხადებაზე დაყრდნობით წერს.

„2023 წლის პირველი იანვრიდან, დიდი ბრიტანეთი რუსეთიდან თხევადი ბუნებრივი აირის იმპორტს შეაჩერებს. ჩვენ პუტინს წავართმევთ საშუალებებს მისი უკანონო ომისთვის“, – აცხადებს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მანამდე, დიდმა ბრიტანეთმა რუსეთის ეკონომიკისთვის კრიტიკულად საჭირო, თითქმის 700 დასახელების საქონლის ექსპორტი შეაჩერა.

წყარო: <https://cutt.ly/QNmRP8v>

ელექტროენერგეტიკა

ავვისტოში საქართველოში ელ.ენერჯის წარმოება 16.5%-ით გაიზარდა

საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (ESCO) ინფორმაციით, ავვისტოში წარმოებულმა ელექტროენერჯიამ 1.4 ათასი გვტ/სთ შეადგინა, რაც 16.5%-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე (2021 აგვ: 1.2 ათასი გვტ/სთ).

აქედან თბოსადგურების გამომუშავებამ 238.3 გვტ/სთ (+37.6% Y.Y), ჰიდროელექტრო-სადგურების გამომუშავებამ 1.2 ათასი გვტ.სთ (+12.7% Y.Y), ქარის სადგურების გამომუშავებამ 9.4 გვტ.სთ (+70.9% Y.Y) შეადგინა.

ამ პერიოდში საქართველოში ელექტროენერჯის შიდა მოხმარებისთვის იმპორტი არ განხორციელებულა, ხოლო ტრანზიტულმა ენერჯიამ 354.1 გვტ/სთ შეადგინა.

ავვისტოში ელ.ენერჯის ექსპორტი 163%-ით გაიზარდა და 493.7 გვტ/სთ შეადგინა (2021 აგვ: 187.8 გვტ/სთ).

საქსტატის მონაცემებით, აგვისტოში \$11.7 მლნ-ს ელ. ენერჯია გაიყიდა ექსპორტზე, რომელიც მთლიანად თურქეთში გავიდა.

წყარო: gbc.ge - <https://cutt.ly/WNmRDrc>

ლევან დავითაშვილი: ელექტროენერჯიის მიწოდების კუთხით, ტრანზიტული ქვეყნების გავლის გარეშე, საქართველოს ევროკავშირთან პირდაპირ დაკავშირება სწორედ საქართველოს ინიციატივაა

„ელექტროენერჯიის მიწოდების კუთხით, მესამე, ტრანზიტული ქვეყნების გავლის გარეშე, საქართველოს ევროკავშირთან პირდაპირ დაკავშირება სწორედ საქართველოს ინიციატივაა. პროექტმა საკმაოდ დიდი მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა, ევროკავშირის მხრიდან უკვე მხარდაჭერილია. ესაა პროექტი, რომელსაც რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, – ამის შესახებ საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა „ქრონიკის“ ეთერში საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, ამ პროექტში უკვე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეც ჩაერთო.

„ასეთი ქვეყანაა აზერბაიჯანი, რომელთანაც ენერჯეტიკულ სფეროში, ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს. ათწლეულების წინ დაწყებული პროექტები საქართველოს ენერჯოუსაფრთხოებას დღეს ნამდვილად ეხმარება. აზერბაიჯანი თავად გეგმავს, რომ აქცენტები განახლებადი ენერჯიის წყაროებზე ექნება. მათი დაინტერესებაა, არა მხოლოდ თავიანთი ეკონომიკისთვის აწარმოონ, არამედ ევროკავშირშიც გაიტანონ ექსპორტზე“, – აცხადებს ლევან დავითაშვილი.

წყარო: <https://cutt.ly/LNmRFJr>

განახლებადი ენერჯია და ენერჯოეფექტურობა

გაზისა და ნავთობის ჩანაცვლება – ომანი წყალბადის ამბიციური გეგმის შესახებ აცხადებს

ევროპაში ენერჯეტიკული კრიზისისა და მთელ მსოფლიოში ენერჯორესურსების ფასების ბოლო ზრდის ფონზე, ომანი გეგმავს გახდეს მწვანე წყალბადის ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელი. 2023 წლისთვის ქვეყანა ამ საწვავის 1 მილიონი ტონას წარმოებას აპირებს.

განახლებადი ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით, 2050 წლისთვის გლობალური ენერჯიის მოხმარების 12%-ს წყალბადი წარმოადენს.

თავად ომანი გეგმავს 2050 წლისთვის ნახშირბადის ნულოვანი გამონაბოლქვის მიღწევას. ამისთვის ქვეყანაში სახელმწიფო კომპანია Hydrogen Oman (Hydrom) იქმნება, წერს The National Business.

„მომარაგების ჯაჭვის შეფერხება კოვიდისა და გლობალური ცვლილებების გამო, ხდის ომანს იდეალურ ადგილად რეალურად მთელი ინდუსტრიების შესაქმნელად, რომელიც ისარგებლებს მწვანე და დაბალი ნახშირბადის წყალბადით“, – თქვა კომპანიის მოქმედმა

დირექტორმა, ფირას ალ-აბდავანიმ.

ომანმა უკვე გამოყო ორი ბლოკი სამხრეთ საპორტო ქალაქ დუქმში და კიდევ ოთხი ბლოკი სალალაში მწვანე წყალბადის პროექტების განვითარებისთვის.

6 ნოემბერს „ჰიდრომი“ გახსნის ღია ტენდერების პირველ ტურს, რათა 2023 წლისთვის პირველი მიწის ნაკვეთები გამოყოს თავისი გეგმის მისაღწევად.

გარდა ამისა, ომანის სახელმწიფო ინდუსტრიული ზონების ინსტიტუტი, უფრო ცნობილი როგორც Madayn, გაერთიანდა აშშ-ში დაფუძნებულ H2 Industries-თან, რათა ააშენონ ნარჩენების წყალბადის ქარხანა. პროექტი 1,4 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

ასეთი პროექტები შესაძლოა აქტუალური იყოს არა მხოლოდ სპარსეთის ყურის რეგიონისთვის, არამედ ევროპისთვისაც. ევროკავშირი ცდილობს შეამციროს დამოკიდებულება განახლებად ენერჯის წყაროებზე, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა რუსეთის მიერ პროვოცირებული გაზის კრიზისის დაწყების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ გერმანიამ უკვე გამოაცხადა მზადყოფნა მონაწილეობა მიიღოს ნორვეგიიდან წყალბადის მილსადენის მშენებლობაში.

ეს პროექტი მიზნად ისახავს ევროკავშირის გაზზე, ნახშირსა და ნავთობზე დამოკიდებულების შემცირებას ნორვეგიიდან წყალბადის იმპორტით და გერმანიაში წყალბადის ენერჯის განვითარებით.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/BNmRZXb>

Eviation-ის სამგზავრო ელექტროთვითმფრინავმა პირველი სატესტო ფრენა შეასრულა

Eviation-ის პროტოტიპულმა სამგზავრო ელექტროთვითმფრინავმა, სახელწოდებით Alice-მა პირველი სატესტო ფრენა შეასრულა, – ამის შესახებ გამოცემა The Verge წერს. აღნიშნული ფრენა რვა წუთს გაგრძელდა, რა დროსაც თვითმფრინავი ერთი კილომეტრის სიმაღლეზე აფრინდა. სატესტო ფრენის მთავარ მიზანს თვითმფრინავის დიზაინისა და აგებულების შესახებ ინფორმაციის მოგროვება წარმოადგენდა – ამ ეტაპზე, თვითმფრინავის ბორტზე მგზავრები არ იმყოფებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ Eviation-ის ეს კონკრეტული თვითმფრინავი, რომელიც სრულად ელექტრიფიცირებულია და ცხრა მგზავრს იტევს, ტექნოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და დახვეწილია – აშშ-ის ავიაციის ფედერალური ადმინისტრაციისგან ლიცენზიის მიღების ყველაზე დიდი შანსიც, სწორედ მას აქვს. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ Eviation-ი ბაზრის ნიშური მოთამაშეა, რომლის თვითმფრინავები 240-400 კილომეტრის სიგრძის მოკლე ფრენებისთვისაა განკუთვნილი, რაც ნიუ-იორკიდან ბოსტონამდე ან ლოს-ანჯელესიდან ლას-ვეგასამდე მანძილს უდრის.

წყარო: forbes.ge - <https://cutt.ly/eNmRCD3>

კლიმატის ცვლილება

ჰაერის დაბინძურების აღმოჩენა ცვლის მკვლევრების წარმოდგენას კიბოს ჩამოყალიბების შესახებ

მკვლევართა ჯგუფმა გააკეთა ინოვაციური აღმოჩენა იმის შესახებ, თუ როგორ იწვევს ჰაერის დაბინძურება კიბოს, რაც სრულიად გარდაქმნის მათ წარმოდგენას სიმსივნის წარმოქმნის შესახებ.

ლონდონის ფრენსის კრიკის ინსტიტუტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჰაერის დაბინძურება პირდაპირ არ აზიანებს უჯრედებს, არამედ აღვიძებს ძველ უჯრედებს, რომლებიც უკვე დაზიანებულია.

ეს დასკვნები ძალიან განსხვავდება ტრადიციული შეხედულებისგან, რომ კიბო იწყება ჯანსაღ უჯრედში, რომელიც მუტაციას ახდენს მის დნმ-ში მანამ, სანამ არ გახდება კიბო, მაგრამ ბევრი ნივთიერება, როგორცაა ჰაერის დაბინძურება, არ აზიანებს დნმ-ს.

ახალ აღმოჩენას შეუძლია ახსნას, თუ როგორ იწვევს სხვა კანცეროგენული ნივთიერებები კიბოს განვითარებას და მეცნიერები ამბობენ, რომ ახლა უკვე შესაძლებელია ისეთი მედიკამენტების შექმნა, რომლებიც ხელს უშლიან კიბოს წარმოქმნას.

კვლევის წამყვანმა ავტორმა და კიბოს კვლევის ბრიტანელმა მთავარმა კლინიციისტმა, პროფესორმა ჩარლზ სვანტონმა, თქვა: კიბოს გამომწვევი მუტაციების მქონე უჯრედები ბუნებრივად გროვდება ასაკთან ერთად, მაგრამ ისინი ჩვეულებრივ არააქტიურები არიან. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ჰაერის დაბინძურება აღვიძებს ამ უჯრედებს ფილტვებში, ხელს უწყობს მათ ზრდასა და პოტენციურად სიმსივნეების წარმოქმნას.

„ჩვენ მიერ გამოვლენილი მექანიზმი საბოლოოდ დაგვეხმარება ფილტვის კიბოს პრევენციისა და მკურნალობის უკეთესი გზების პოვნაში არამწვევლებში. თუ ჩვენ შეგვიძლია შევაჩეროთ უჯრედების ზრდა ჰაერის დაბინძურების საპასუხოდ, ჩვენ შეგვიძლია შევამციროთ ფილტვის კიბოს რისკი.“

წყარო: greenpole.org - <https://cutt.ly/wNmRNao>

UNESCO „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიებისთვის“ გრანტს გამოყოფს

დაცული ტერიტორიების სააგენტო, UNESCO-სთან და დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდთან თანამშრომლობით, ახალი საგრანტო პროექტის განხორციელებას იწყებს.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში UNESCO-ს პირველი მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის „კოლხური ტყეების და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ პოპულარიზაციას, მისი მართვის ეფექტურობისა და მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობას, მათ შორის, აღნიშნული ტერიტორიების უნივერსალური ღირებულების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

პროექტის ფარგლებში, მოხალისეობრივი პროგრამის საშუალებით 20 ადგილობრივ ახალგაზრდას, შესაძლებლობა მიეცემა ჩაერთონ UNESCO-ს საიტის მართვის პროცესში, დასაქმდნენ „კოლხური ტყეების და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ მმართველ

სტრუქტურაში, გაეცნონ დაცული ტერიტორიების მართვის სპეციფიკას, დაეხმარონ რეინჯერებს ყოველდღიური მოვალეობის შესრულებაში, მათ შორის, ბილიკების კეთილმოწყობა, ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, ბუნების დაცვა-შენარჩუნება და მონიტორინგი.

აღსანიშნავია, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში, 2021 წელს, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხას, „კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები-ს“ სტატუსით, საქართველოს 4 დაცული ტერიტორია შეემატა. კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკები და ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიები.

პროექტი ხორციელდება UNESCO-ს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) ფინანსური მხარდაჭერით.

წყარო: <https://cutt.ly/oNmRM4u>

პუბლიკაციები

წარმოგიდგენთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ინგლისურენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

ღონისძიებები

შეხვედრა - ხეების დარგვის საერთაშორისო ინიციატივა

თარიღი: 10-13 ნოემბერი, 2022

ადგილი: კონიკა - ბურაზინი, საბერძნეთი

კონტაქტი: promitheasnews@kepa.uoa.gr

მსოფლიო მდგრადი ენერჯეტიკის დღეები

თარიღი: 1-3 მარტი, 2023

ადგილი: ველსი, ავსტრია

www.wsed.at